ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISSN 1987-7323 E-ISSN 27 20-7900

https://doi.org/1052340/lac.

https://journals.4science.ge/index.php.enadakultura

XI საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენცია "ენა და კულტურა"

შ რ ო მ ე ბ ი

Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences
Akaki Tsereteli State University

XI International Scientific (Online) Conference "Language and Culture"

Scientific Papers

ქუთაისი 2026 Kutaisi

კონფერენციის შრომების სარედაქციო კოლეგია:

ვახტანგ თევდორაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ნინო კოჭლოშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ ლომთაძე - ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის ვიცე–პრეზიდენტი, თსუ არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორი

მანანა მიქაძე - ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის პრეზიდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რამაზ სვანიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც პროფესორი

ელისო ქორიძე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ცირა ჯანჯღავა - არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

Editorial Board:

Vakhtang Tevdoradze - Akaki Tsereteli State University, assoc.-professor

Nino Kochloshvili - Iakob Gogebashvili State University, Full Professor

Tamar Lomtadze - Vice President of the Foundation for Development of Art and Pedagogical sciences; University of Georgia, Full. professor

Manana Mikadze - Head of the Foundation for Development of Art and Pedagogical sciences; Akaki Tsereteli State University, Full-professor

Ramaz Svanidze - Akaki Tsereteli State University, assoc.-professor

Eliso Koridze - Akaki Tsereteli State University, Full-professor

Tsira Janjghava - Arn. Chikobava Institute of Linguisitcs scientific employee

“ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“: XVIII საუკუნის გერმანული პერიოდიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო[1]

დალი კანდელაკი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: dali.kandelaki@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.17

XVIII საუკუნის ევროპას ინფორმაციის გავრცელების მზარდი ინტენსივობა და პერიოდული პრესის ჩამოყალიბება ახასიათებს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიული ცოდნის გავრცელებასა და შორეული რეგიონების შესახებ წარმოდგენების ფორმირებაში. გერმანულენოვანი პერიოდიკა, გაზეთებისა და სხვადასხვა ტიპის ჟურნალების სახით, იმ საინფორმაციო სივრცეს წარმოადგენდა, რომელშიც კავკასიისა და საქართველოს შესახებ ცნობები სისტემატურად ქვეყნდე-ბოდა და ევროპული საზოგადოებრივი აზრის ნაწილად იქცეოდა. ეს მასალა დღეს მნიშვნელოვანი წყაროა არა მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით, არამედ იმის გასაანალიზებლადაც, თუ როგორ აღიქმებოდა და ინტერპრეტირდე-ბოდა საქართველო XVIII საუკუნის ევროპულ ინტელექტუალურ და კულტურულ გარემოში.

საქართველოს შესახებ გავრცელებულ ცნობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნარატივს, რომლის მიხედვითაც, ის ხშირად წარმოდგენილია როგორც „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“. ამგვარი ფორმულირება ასახავს XVIII საუკუნის ევროპულ ცნობიერებაში დამკვიდრებულ წარმოდგენას საქართველოს კონფესიური იდენტობისა და მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის შესახებ. გერმანულ პერიოდიკაში აღნიშნული ნარატივი ერთდროულად ხაზს უსვამდა ქვეყნის რელიგიურ განსხვავებულობას და წარმოაჩენდა იმასაც, თუ როგორ აისახე-ბოდა მისი პოლიტიკური და სოციალური ვითარება ევროპულ საზოგადოებაში.

სტატიის მიზანია XVIII საუკუნის გერმანულენოვანი პერიოდული გამოცემე-ბის შეფასება, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროსი „ქრისტიანული ქვეყნის“ ნარატივის მაგალითზე. კვლევა აანალიზებს ამ მასალების ინფორმაციულ შესაძლებლობებსა და წყაროთმცოდნეობრივ თავისებურებებს, მათ შორის, ცნობათა წარმოშობას, გადაცემის გზებსა და ავტორთა ინტელექტუალურ და კონფესიურ პოზიციებს. გერმანული პერიოდიკა აქ განიხილება შერეული ხასიათის წყაროდ, რომლის მასალები მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა დიპლომატიურ კორესპონდენციას, მისიონერთა რელაციებს, მოგზაურთა დაკვირვებებსა და სხვა ევროპული გამოცემებიდან გადმობეჭდილ ცნობებს. ამასთან, ის არ შემოიფარგლე-ბოდა მხოლოდ მეორადი ინფორმაციის გავრცელებით და აქტიურად მონაწილეობ-და საქართველოს შესახებ ევროპული წარმოდგენების ჩამოყალიბების პროცესში.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: GSDP-25-294] / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number GSDP-25-294].

გერმანულ პერიოდიკაში არაერთი პირველადი ხასიათის ცნობაც არის დაცული, რომლებიც უშუალოდ იმ პირებისგან მომდინარეობდა, რომლებიც საქართველოში ან კავკასიაში იმყოფებოდნენ და იქიდან აგზავნიდნენ წერილებსა თუ სტატიებს ევროპული გამოცემებისთვის. ამგვარი ტექსტები უშუალო დაკვირვებასა და პირად გამოცდილებას ეფუძნებოდა, რაც მათ განსაკუთრებულ წყაროთმცოდნეობრივ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, საქართველოში მოგზაურობისას შეგროვებული მასალები პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781), მიერ ეტაპობრივად ქვეყნდებოდა გერმანულ პერიოდიკაში, მათ შორის, გერმანელი მეცნიერისა და გამომცემლის, ანტონ ფრიდრიხ ბიუშინგის (1724-1793), რედაქტორობით გამოცემული ჟურნალის – „Wöchentliche Nachrichten" – 1773 და 1779 წლების ნომრებში, ვიდრე ეს მასალა ავტორის მონოგრაფიულ ნაშრომად (J.A.Güldenstädt 1787, 1791) ჩამოყალიბდებოდა. ანალოგიურად, ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის, სამეფო კარზე ნამყოფი საქსონიელი მოგზაურის, იაკობ რაინეგსის (1744-1793), ორტომეულის გამოქვეყნებამდე (J.Reineggs, 1796-1797) მისი წერილები და სტატიები სხვადასხვა გერმანულენოვან ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც აქტუა-ლური კორესპონდენციები (J.Reineggs, 1782, 3:323-353; J.Reineggs, 1783, 12:1229-1232) და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს შესახებ ევროპული ცოდნის ფორმირებაში. ასეთი მასალა ადასტურებს, რომ გერმანული პერიოდიკა მხოლოდ მეორადი ინფორმაციის გამავრცელებელი არ ყოფილა, არამედ პირველწყაროებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანწილად მონაწილეობდა საქართველოს შესახებ ევროპული ცოდნის უშუალო ფორმირებაში. სწორედ ამ შერეულ საინფორმაციო სივრცეში ყალიბდება და ვრცელდება ნარატივი – „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავ-ლეთში", რომელიც სხვადასხვა ჟანრის ტექსტებში განსხვავებული აქცენტებით ვლინდება და საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გარდაიქმნება.

1724 წელს იენაში გამოცემულ გერმანულ ჟურნალში – „Einleitung zur neuesten Historie der Welt" (Einleitung...,1724,14:113-114) – საქართველოს ხსენება სცდება მიმდინარე პოლიტიკური ინფორმაციის ფარგლებს და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ რელიგიურ-სიმბოლურ დისკურსში ინტეგრირდება, რაც სრულად ეხმიანება ნარატივს – „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში". ჟურნალში დაბეჭდილ ტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არარატის მთასა და ნოეს კიდობნის ამბის გადმოცემას, რაც ავტორის ინტერპრეტაციაში უშუალოდ უკავშირდება საქართველოს. ამგვარი წარმოდგენა საქართველოს არა მხოლოდ გეოგრაფიულ, არამედ ბიბლიურ-სიმბოლურ სივრცეში ათავსებს და მას ქრისტიანული ისტორიის საწყისებთან აკავშირებს, რაც ქვეყნის რელიგიურ იდენტობას ევროპელი მკითხველის თვალში კიდევ უფრო ამყარებს. ცნობაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობა ქრისტიანია და არარატს ადგილობრივად „Archen-Gebirge"-ს უწოდებენ, რის შედეგადაც საქართველო წარმოჩენილია როგორც აღმოსავლეთში მდებარე, თუმცა კონფესიური ნიშნით ევროპულ ქრისტიანულ სივრცესთან დაკავშირებული რეგიონი. ამ კონტექსტში პოლიტიკური ფაქტორები მეორეხარისხოვან მნიშვნელობას იძენს, ხოლო რეგიონი ქრისტიანული მეხსიერების ნაწილად ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ეყრდნობა ევროპულ ტრადიციაში დამკვიდრებულ ბიბლიურ და გეოგრაფიულ წარმოდგენებს და ერთმანეთში ურევს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებს, აღნიშნული მასალა წყაროთმცოდნეობრივი თვალსაზრისით მაინც საყურადღებოა; ამასთან, დისკურსული ანალიზისათვის იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მკაფიოდ აჩვენებს იმ წარმოდგენებსა და ინტერპრეტაციებს, რომელთა საფუძველზეც XVIII საუკუნის ევროპაში აღმოსავლეთი აღიქმებოდა.

რელიგიურ-სიმბოლურ ჩარჩოში უნდა განვიხილოთ ასევე გერმანულ პერიოდიკაში ფართოდ გავრცელებული ნარატივიც ქეთევან დედოფალის წამების შესახებ. 1731 წელს გერმანულ ჟურნალში – „Neu-eröffnetes Welt- und Staats-Theatrum" (Neu-eröffnetes Welt..., 1731, 3:184-189) – გამოქვეყნებული ტექსტი ქეთევან დედოფლის წამებისა და სიკვდილის

შესახებ ნათლად აჩვენებს, თუ როგორ იქცევა საქართველოს ისტორიული რეალობა კონფესიურ-სიმბოლურ ნარატივად. ტექსტი არ იწყება უშუალოდ ქეთევანზე საუბრით; მას წინ უძღვის ირანის შაჰების ტირანული მმართველობისა და აღმოსავლურ სასჯელთა სისასტიკის ზოგადი აღწერა. მხოლოდ ამის შემდეგ ფორმულირებით – „განსაკუთრებით კი აქ უნდა მოვიხსენიო…“, ავტორი გადადის კონკრეტულ მაგალითზე – ქრისტიანი ქართველი დედოფლის მოწამეობაზე. ამგვარი კომპოზიცია ტექსტს მორალურ-კონფესიურ ხასიათს ანიჭებს და ქეთევანის ფიგურას აღმოსავლური ძალადობის პირობებში ქრისტიანული სიმტკიცის მაგალითად აქცევს. ქეთევან დედოფლის მოწამეობის სიუჟეტი XVIII საუკუნის გერმანულენოვან პრესაში წინარე ტექსტუა-ლურ ტრადიციას ეყრდნობოდა. მისი მოწამეობის ამბავი უკვე XVII საუკუნის I ნახევრიდან ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში – კათოლიკე მისიონერთა რელაციებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, პუბლიცისტურ ტექსტებსა და ლიტერა-ტურულ ნაწარმოებებში. პორტუგალიელი, იტალიელი, ფრანგი და გერმანელი ავტორები ქეთევანის ისტორიას იყენებდნენ როგორც ქრისტიანული რწმენის გამარჯვების მაგალითს აღმოსავლურ დესპოტიზმზე.

გერმანულენოვან ჟურნალში გამოქვეყნებული ქართველი დედოფლის ისტორია ემორჩილება ადრეული ახალი ხანის ბეჭდვითი მედიის სპეციფიკას და „მსოფლიო თეატრის“ (Theatrum mundi) კონცეფციას, რომლის მიხედვით, მოვლენები დრამატული სცენების, ხოლო ისტორიული პერსონაჟები მოქმედი პირების სახითაა წარმოდგენილი. ქეთევანის წამების დეტალური და ვიზუალურად ინტენსიური აღწერა აქ მიზნად ისახავს არა ფაქტობრივი სიზუსტის, არამედ ემოციური ზემოქმედების მიღწევას: სხეულის ტანჯვა რწმენის სიმტკიცის მტკიცებულებად გარდაიქმნება, ხოლო ფიზიკური განადგურება – სულიერი გამარჯვების სიმბოლოდ.

ქეთევან დედოფლის ისტორია გერმანულ პერიოდიკაში წარმოჩენილია, როგორც ჰაგიოგრაფიული ნარატივი, რომელიც მიმართულია მკითხველის ზნეობრივი და კონფესიური აღზრდისკენ და არ ითვალისწინებს ისტორიული ქრონიკის სიზუსტეს. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ აღიქვამდა ადრეული ახალი ხანის გერმანელი კათოლიკე მკითხველი ქრისტიან მოწამეს, ქალის სულიერ ავტორიტეტს და საქართველოს ადგილს „ქრისტიანული აღმოსავლეთის“ სივრცეში. ამ კონტექსტში, ქეთევანის ფიგურა სრულად ერწყმის იმ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც, საქართველო XVIII საუკუნის ევროპულ დისკურსში გამოისახება, როგორც „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“ – ესაა ბიბლიურ წარსულთან, მოწამეობასა და სარწმუნოებრივ ერთგულებასთან ასოცირებული სიმბოლური სივრცე.

XVIII საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვან პერიოდიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე.წ. Intelligenzblatt-ების ტიპის საინფორმაციო ბიულეტენები, რომლებიც ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ცნობებს აერთიანებდა და მკითხველს მიმდინარე მოვლენების ოპერატიულ მიმოხილვას სთავაზობდა. ამ ჟანრის პერიოდიკის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს „Münsterisches Intelligenzblatt“, რომელიც 1765–1849 წლებში გამოიცემოდა და ფართო აუდიტო-რიას აწვდიდა ცნობებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების შესახებ.

„Münsterisches Intelligenzblat“-ის ფურცლებზე კავკასიისა და საქართველოს თემები ჩნდება, უპირველესად, ოსმალეთ-რუსეთის ომისა და რეგიონში ძალთა გადანაწილების კონტექსტში. XVIII საუკუნის 1770-იანი წლების ნომრებში გამოქვეყნებული ცნობები საქართველოს წარმოაჩენს, როგორც აქტიურ სამხედრო და პოლიტიკურ სივრცეს, სადაც მოქმედებენ ქრისტიანი ქართველი მეფეები და რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები. ამ ტექსტებში საქართველო აღარ არის მხოლოდ ბიბლიურ-გეოგრაფიული ან ჰაგიოგრაფიული მნიშვნელობის სიმბოლო; იგი წარმოდგენილია, როგორც ქრისტიანული ძალა, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სამხედრო კონფლიქტებში და გავლენას ახდენს რეგიონულ პოლიტიკურ პროცესებზე.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ გამოცემებში სოლომონ I-ის მოხსენიება. „Münsterisches Intelligenzblatt“ მას ხშირად წარმოსახავს არა მხოლოდ იმერეთის მეფედ, არამედ ქართველთა ერთიანი სამხედრო ძალების ლიდერად. ახალციხის ალყის აღწერაში (Münsterisches Intelligenzblatt, 1770, 8:2) ხაზგასმულია ქართველ მთავართა კოალიცია და მრავალთვიანი სამხედრო წინააღმდეგობა, რაც ევროპელი მკითხველისთვის ქმნის სურათს საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის შესახებ, რომელსაც ოსმალეთის იმპერიისთვის სერიოზული სამხედრო გამოწვევის შექმნა შეუძლია. ასეთი წარმოდგენა აძლიერებს ნარატივს – „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“, თუმცა, მას უკვე მკაფიოდ პოლიტიკური და სამხედრო შინაარსი აქვს. ამავე დროს, გაზეთის ცნობებში იკვეთება მნიშვნელოვანი დისკურსული გამარტივებები და გადაჭარბებები. ქართველ მეფეთა ერთიანობა ხშირად გადამეტებულად არის წარმოდგენილი. ეს გარემოება არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ფაქტობრივი უზუსტობის კონტექსტში; იგი მიუთითებს იმაზე, რომ გერმანულენოვანი პრესა საქართველოს აღიქვამდა არა შიდა პოლიტიკური მრავალფეროვნებით, არამედ როგორც ერთიან ქრისტიანულ ძალას მუსლიმური იმპერიების წინააღმდეგ. სწორედ ამ გზით იძენს საქართველო ევროპულ მედიაში სიმბოლურ მნიშვნელობას, რომელიც სცდება მის რეალურ პოლიტიკურ შესაძლებლობებს.

„Münsterisches Intelligenzblatt“-ის ტექსტებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებსაც, განსაკუთრებით, გენერალ გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ფონ ტოტლებენის (1715-1773) ფიგურას (Münsterisches Intelligenzblatt, 1769, 93:4). ცნობები, რომელთა მიხედვითაც, გენერალი ტოტლებენი „მთელი საქართველოსგან“ ერთგულების ფიცს მოითხოვს (Münsterisches Intelligenzblatt, 1770, 8:3), ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ცდილობს პრესა რუსეთის სამხედრო მოქმედებების ლეგიტიმაციას ქრისტიანობის დაცვის დისკურსის მეშვეობით. საქართველო წარმოდგენილია ქრისტიანულ სივრცედ, რომელიც ბუნებრივად ექცევა რუსეთის მფარველობის ქვეშ. საყურადღებოა ისიც, რომ ოსმალეთის რეაქციები ხშირად აღწერილია ისე, თითქოს ქართველები უფრო საშიშ მოწინააღმდეგეებად ჩანან, ვიდრე რუსული ძალები. ეს ხაზს უსვამს საქართველოს აღქმას, როგორც აქტიური სამხედრო სუბიექტისა და ის არ განიხილება მხოლოდ დაპირისპირების პასიურ ობიექტად. ასეთი შეხედულება განსხვავდება ადრეული ჰაგიოგრაფიული ნარატივებისგან და „ქრისტიანული ქვეყნის“ კონცეფციის თანდათან პოლიტიზაციას გვიჩვენებს.

ამრიგად, „Münsterisches Intelligenzblatt“-ის მასალები წარმოადგენს მნიშვნელოვან გარდამავალ საფეხურს „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“ ნარატივის განვითარებაში. აქ საქართველო ჯერ კიდევ მკაფიოდ აღიქმება ქრისტიანულ სივრცედ, თუმცა ქრისტიანული სარწმუნოება უკვე მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო ძალასთან, პოლიტიკურ ალიანსებთან და იმპერიულ ინტერესებთან. აღნიშნული ტექსტები ქმნის იმ ინტელექტუალურ და მედიაკონტექსტს, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს სრულად ფორმირდება უფრო ანალიტიკური ხასიათის პერიოდიკაში, მათ შორის, „Politisches Journal nebst Anzeige von gelehrten und andern Sachen“-ის მსგავს გამოცემებში.

„Politisches Journal“-ის ფურცლებზე საქართველო და კავკასია სულ უფრო იშვიათად ჩნდება მხოლოდ კონფესიური კუთვნილების ნიშნით, უფრო მეტად ის განიხილება როგორც საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური სივრცე. საქართველოს ქრისტიანული იდენტობა უკვე აღარ წარმოდგება მხოლოდ მორალურ-სანიმუშო კატეგორიად; იგი გარდაიქმნება არგუმენტად, რომელიც ამართლებს ქვეყნის ჩართვას რუსეთის იმპერიულ ორბიტაში. საქართველოს ხსენება ხშირად უკავშირდება სავაჭრო მარშრუტებს, სამხედრო გზებს, შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და კავკასიის გზების კონტროლს. ქრისტიანობა ამ კონტექსტში არა მხოლოდ სარწმუნოებრივი ერთობაა, არამედ აღიქმება პოლიტიკურ თანამიმდევრობადაც რუსეთის, როგორც „აღმოსავლეთის ქრისტიანთა დამცველი ძალის“, ჩარჩოში. 1781-1783 წლებში გამოქვეყნებული კორესპონდენციები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველო გერმანელი მკითხველისთვის მოლაპარაკებების

სუბიექტია და არა პასიური ობიექტი. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონ I წარმოჩენილნი არიან როგორც ქრისტიანი ხელისუფალნი, რომლებიც ცდილობენ ოსმალეთისა და ირანის ზეწოლისგან თავის დაღწევას, თუმცა, განსხვავებული პოლიტიკური სტრატეგიებით. ერეკლე II-ს ხშირად ახასიათებენ რუსეთზე ორიენტირებულ, გონიერ და რეფორმებისკენ მიდრეკილ მმართველად, მაშინ, როცა სოლომონ I-ის ფიგურა უკავშირდება დამოუკიდებლობის, სამხედრო სიმტკიცისა და იზოლაციონისტური თავისუფლების რიტორიკას. ფრაზა – „არავისზე არ ვიქნები დამოკიდებული, გარდა ჩემი მახვილისა“ – გერმანულ პრესაში იქცევა სოლომონის პოლიტიკის სიმბოლურ ფორმულად და აყალიბებს გმირი, თუმცა პოლიტიკურად სარისკო მმართველის სახეს (Politisches Journal, 1783, 10:971).

„Politisches Journal“-ის ტექსტებში ასევე აშკარად იკვეთება პრორუსული ტონი. რუსეთის სამხედრო ძალის მასშტაბები ხშირად გაზვიადებულია, ხოლო მისი როლი – ნორმალიზებული და ლეგიტიმირებული. საქართველო წარმოდგენილია, როგორც ქრისტიანული სივრცე, რომელიც ბუნებრივად უნდა აღმოჩნდეს რუსეთის მფარველობის ქვეშ. ასე რომ, „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“ უკვე აღარ არის მოწამეობის ან სულიერი წინააღმდეგობის სიმბოლო. გეორგიევსკის ტრაქტატის გაშუქება „Politisches Journal“-ში ამ ტრანსფორმაციის კულმინაციას წარმოადგენს (Politisches Journal, 1783, 11:1082-1083). ტექსტები მკაფიოდ ასახავს, რომ „მფარველობის“ ენა სინამდვილეში ნიშნავს დიპლომატიური სუვერენიტეტის დაკარგვას, ერთგულების ფიცს, სიმბოლური ატრიბუტიკის მიღებას და რუსეთის იმპერიულ სისტემაში ჩართვას. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი პრესაში წარმოდგენილია არა როგორც ძალადობრივი აქტი, არამედ როგორც ქრისტიანული სახელმწიფოების ბუნებრივი და ლეგიტიმური დაახლოება. ამრიგად, „Politisches Journal“-ის მაგალითი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნება XVIII საუკუნის ბოლოს ნარატივი – „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“: რელიგიურ-სიმბოლური კონცეფციიდან იგი გადადის პოლიტიკურ-სტრატეგიულ ჩარჩოში. საქართველო კვლავ აღიქმება როგორც ქრისტიანული სივრცე აღმოსავლეთში, თუმცა ქრისტიანობა უკვე აღარ არის თვითმიზანი – იგი ხდება იმპერიული პოლიტიკის, საერთაშორისო ძალთა ბალანსისა და ევროპული გეოპოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

XVIII საუკუნის გერმანულენოვანი პერიოდიკა აჩვენებს, რომ საქართველო ევროპულ საზოგადოებრივ სივრცეში წარმოდგენილი იყო როგორც ცვალებადი ისტორიულ-კულტურული სახე, რომლის შინაარსი დამოკიდებული იყო რელიგიურ, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ კონტექსტებზე. ნარატივი – „ქრისტიანული ქვეყანა აღმოსავლეთში“ – საუკუნის დასაწყისში უკავშირდებოდა ბიბლიურ და მოწამეობის ისტორიებს, საუკუნის შუახანებში აქტუალური სამხედრო მოვლენების ფონზე პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოს ქრისტიანული იდენტობა უკვე გეოპოლიტიკურ არგუმენტად ყალიბდებოდა და რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასთან ასოცირდებოდა. ამგვარად, გერმანულენოვანი პერიოდიკა ნათლად ასახავს იმ პროცესს, რომლის ფარგლებში XVIII საუკუნის ევროპულ დისკურსში ყალიბდებოდა და ტრანსფორმირდებოდა საქართველოს აღქმა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, XVIII საუკუნუის გერმანული პერიოდიკა, აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყანა, ევროპული აღქმები, კონფესიური დისკურსი

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Güldenstädt J.A. (1787). Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. Auf Befehl der Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften herausgegeben von P.S. Pallas. St. Petersburg: Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften. Bd. 1.
2. Güldenstädt J.A. (1791). Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. Auf Befehl der Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften herausgegeben von P.S. Pallas. St. Petersburg: Russisch-Kayserlichen Akademie der Wissenschaften. Bd. 2.
3. Güldenstädt J.A. (31.05.1773). Von den Ländern und Völkern zwischen dem Schwarzen und Kaspischen Meere // Wöchentliche Nachrichten. Nr. 22, S. 169-176.
4. Güldenstädt J.A. (29.11.1779). Neue Nachrichten von Georgien und desselben Fürsten Heraclius // Wöchentliche Nachrichten, Nr. 48, S. 381-387.
5. Einleitung zur neuesten Historie der Welt (1724), Nr. 14, S. 113-114.
6. Münsterisches Intelligenzblatt (8.11.1769). Nr. 93. S. 4.
7. Münsterisches Intelligenzblatt (26.01.1770). Nr. 8. S. 2- 3.
8. Neu-eröffnetes Welt- und Staats-Theatrum. Welches die in allen Theilen der Welt, sonderlich aber in Europa vorfallende Staats-, Kriegs- und Friedens-Affairen, wie auch andere merckwürdige Begebenheiten in einem deutlichen Auszuge vorstellet und dieselben mit gehörigen Documenten und beygefügten Anmerckungen aus der Historie, Genealogie, Geographie u. d. gl. hinlänglich erläutert (1731), Nr. 3, S. 184 -189.
9. Politisches Journal nebst Anzeige von gelehrten und andern Sachen (1783). Nr. 10. S. 971.
10. Politisches Journal nebst Anzeig e von gelehrten und andern Sachen (1783). Nr. 11. S. 1082-1083.
11. Reineggs J. (1782). Kurzer Auszug der Geschichte von Georgien // Neue Nordische Bayträge. Hrsg. von P.S. Pallas. Nr. 3, S. 323-353.
12. Reineggs J. (1796). Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. Bd.I. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt u. hrsg. v. F. E. Schröder. Gotha, Sankt Petersburg: Gerstenberg und Dittmar.
13. Reineggs J. (1797). Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, Bd. II. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt u. hrsg. v. F. E. Schröder. Hildesheim, Sankt Petersburg: Gerstenberg und Dittmar.
14. Reineggs J. (1783). Georgien // Politisches Journal nebst Anzeige von gelehrten und andern Sachen. N 12, S. 1229-1232.

Dali Kandelaki

Tbilisi Iv.Javakhishvili State University

Tbilisi, Georgia

e-mail: dali.kandelaki@tsu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2026.11.17

"A Christian Country in the East": XVIIIth Century German Periodicals as a Source for the History of Georgia

Abstract

This article explores eighteenth-century German-language periodicals as sources for the history of Georgia, focusing on the formula that depicted the country as a "Christian country in the East." It argues that this confessional label functioned as an interpretive framework through which political, religious, and cultural information about Georgia was organized and simplified in

European public discourse. Drawing on examples from historical, political, and scholarly journals, the study shows how reports based on diplomatic correspondence, travellers' accounts, and first-hand observations (including those by Güldenstädt and Reineggs) constructed a hybrid informational space combining mediated knowledge with direct experience. The analysis traces the transformation of the "Christian country" narrative from a religious-symbolic image, exemplified by biblical geography and martyrdom stories, to an increasingly politicized discourse in the context of Ottoman–Persian rivalries and Russian expansion. The article concludes that German periodicals reveal a dynamic and evolving perception of Georgia, shaped by changing confessional, intellectual, and geopolitical contexts of the eighteenth century.

Keywords: Georgia; 18th-century German periodicals; Christian country in the East; European perceptions; confessional discourse.